ხელშეკრულება №01-03-230
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

10 დეკემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი წარმოდგენილი დირექტორის **ბერიკა შუკაკიძის** სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად")
მისამართი: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, ა/ა: 200122900.

მეორეს მხრივ სს „ქებული კლიმატი", წარმოდგენილი მისი დირექტორის თემურ არზიანის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად");
მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ., №40;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202283242;
საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი", ბანკის კოდი: MIBGGE22, ა/ა: GE41 PC0223600100005176.

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება;
1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული გათბობის სისტემისთვის დანართი N 1-ში დასახელებული საქონლის (CPV 31211300; 42122000; 42131400; 44411000; 44167300; 44165000; 44421720) და თანმდევი მომსახურების გაწევა.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2 შესასყიდი საქონლის და გასაწევი თანმდევი მომსახურების საერთო ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს 3601.14 (სამიათას ექვსას ერთი ლარი და 14 თეთრი) ლარს;
3.3 მისაწოდებელი საქონლისა და მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართი N 1-ში;
3.4 **დაფინანსების წყარო:** სახელშეკრულებო თანხიდან 10,41 (ათი ლარი და 41 თეთრი) გადახდა განხორციელდება საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო 3590.73 (სამი ათას ხუთას ოთხმოცდაათი ლარი და 73 თეთრი) გადახდა მოხდება სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მისაწოდებელი საქონელი და გაწეული თანმდევი მომსახურება შეესაბამება ყველა მოქმედ ტექნიკურ სტანდარტებს, ნორმებს და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი საქონელი არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და იღებს პასუხისმგებლობას მისი წარმოშობის კანონიერებაზე;

4.3 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული თანმდევი მომსახურება იქნება უნაკლო.

4.4. ხელშკრულების დანართი N1-ით წარმოდგენილ საქონლზე, კერძოდ : „საცირკულაციო ტუმბო "GRUNDFOS" UPS 50-120 F (3 x 400 V)"- ზე გარანტიის ვადის ათვლა იწყება საქონლის მიწოდების თარიღიდან (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე) და შეადგენს 2 (ორი) წელს;

4.5. იმ შემთხვევაში თუ საგარანტიო 2 წლის ვადაში გამოვლენილი იქნება მიწოდებული საქონლის წუნი, შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ, ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში დაადგინოს წუნის გამომწვევის მიზეზი. იმ შემთხვევაში თუ საქონლის გაუმართაობა გამოწვეულია ქარხნული წუნის გამო, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით, 10 სამუშაო დღეში აღმოფხვრას გაუმართაობა. იმ შემთხვევაში თუ გაუმართაობის აღმოსაფხვრელად საჭიროა პროდუქციის საზღვარგარეთიდან ჩამოტანა, გაუმართაობის გასწორების ვადებზე შეთანხმება ხდება დამატებით, გონივრულობის ფარგლებში.

4.6. საგარანტიო პირობები არ მოქმედებს თუ ნაკლი გამოწვეულია შემსყიდველის ბრალით, მათ შორის საქონლის არასწორი ექსპლუატაციით;

4.7. გარანტიის მოქმედების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საფასურის სრულად გადახდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.

მუხლი 5. შესასყიდი ობიექტის მიწოდების ფორმა, ვადები და ადგილი

5.1შესასყიდი ობიექტის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

5.2 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქუჩა # 4.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლას, მომსახურების ნაკლოვანებისას მიმწოდებელი მოვალეა უმოკლედ ვადებში უზრუნველყოს ნაკლის აღმოფხვრა;

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;

6.4 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის მენეჯერს რატი ღვამბერიას. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" საქონლის და თანმდევი მომსახურების ღირებულება.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს მიწოდებული საქონლის, გაწეული თანმდევი მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.2.4 მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლა ან ნაკლის აღმოფხვრა;

8.2.5 მოთხოვოს მიმწოდებელს უხარისხოდ შესრულებული თანმდევი მომსახურების ნაკლის აღმოფხვრა.

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული საქონელი მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საკუთრებაში და გაუწიოს თანმდევი მომსახურებით;

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5 საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო საქონელი ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი;

8.3.7 წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.4.1 მოთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2 მოთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით;

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, გაწეული მომსახურება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

10.2

10.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკი გიორგი ფერაძე, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს აგრეთვე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის და გაწეული თანმდევი მომსახურების ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმდაგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან/პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სიტყვიერ დამატებას;

16.6 ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

16.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.9 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს;

16.10 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს;

16.11 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ბერიკა შუკაკიძე
დირექტორი

მიმწოდებელი:
სს „ქებული კლიმატი“

თემურ არზიანი
დირექტორი

2018 წლის 10 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება №01-03-230 -ის დანართი N1
(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

მიმწოდებელი:

ს/ს "ქებული კლიმატი"

კოდი: 202283242

მისამართი: ქ.თბილისი, ბელიაშვილის 40

ტელეფონი: +995 (32) 202-22-22

ბანკი: პროკრედიტ ბანკი თბილისი

ბანკის კოდი MIBGGE22

ანგარიში: GE41PC0223600100005176

შემსყიდველი:

სსიპ "მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი სსიპ"

კოდი: 202374251

მისამართი: ქ.თბილისის ჩუღურეთის რაიონი /უზნაძის ქ 68, II სართული

ტელეფონი: 577587806

№	არტიკული	საქონლის (სამუშაოების, მომსახურების)	რაოდ.	ერთ.	ფასი	თანხა
1	96402103	საცირკულაციო ტუმბო "GRUNDFOS" UPS 50-120 F (3 x 400	1	ცალი	2,367.83	2,367.83
2	31316	50 1,1/2" ამერიკანკა შ/ხ DIZAYN	2	ცალი	22.51	45.02
3	8363R008	სფერული ვენტილი 1,1/2" FIV	2	ცალი	42.66	85.32
4	33610	50მმ მოხლი 90° DIZAYN (წყალი)	1	ცალი	2.47	2.47
5	33710	50მმ სამკაპი DIZAYN	1	ცალი	3.12	3.12
6	33410	50მმ ქუროს DIZAYN (წყალი)	2	ცალი	1.43	2.86
7	10-V023616	ვანტუსი 1/2"ULTRA[14bar/120°C]გადამყვანი-უკუსარქველით(1/2"გ.ხ >1/4"შ.ხ)კომპლექტში მზის კოლექტორისთვის	1	ცალი	12.56	12.56
8	34202	20 1/2" ქუროშ/ხ DIZAYN	1	ცალი	1.96	1.96
9		ელ.კარადა ტუმბოს მართვა,	1	ცალი	70.00	70.00
10		ფაზის დაცვა	1	ცალი	120.00	120.00
11		კონტაქტორი	1	ცალი	150.00	150.00
12		დამხმარე მასალა	1	ცალი	50.00	50.00
13		მომსახურება (ტუმბოს დემონტაჟი მონტაჟი)	1	ცალი	340.00	340.00
14		მომსახურება (ელ.კარადის აწყობა)	1	ცალი	350.00	350.00

სუმა: **3,601.14**

მათ შორის დღგ: **549.34**

სულგადასახდელი: **3,601.14**

სულ დასახელებები 14, თანხაზე 3 601,14 GEL

თანხა სიტყვიერად: სამი ათას ექვსასერთი ლარი და 14 თეთრი

დირექტორი : თემურ არზიანი

დირექტორი : ბერიკა შუკაკიძე

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (სს „ქებული კლიმატი") არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი _____ /ბ. შუკაკიძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის მენეჯერი _____ /რ. ღვამბერია/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკი _____ /გ. ფერაძე/

ვიზირება:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე _____ /დ. ხვედელიძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი _____ /ი. ძებისაური/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი _____ /ნ.გიგოლაშვილი/